აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი საქართველოში ადამიანის უფლებების მდგომარეობის შესახებ

„2015 წლის განმავლობაში ადამიანის უფლებების მხრივ არსებულ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემებს წარმოადგენდა: ოკუპირებულ ტერიტორიებთან ადმინისტრაციულ საზღვარზე რუსეთის, ან დე ფაქტო ძალების მიერ საქართველოს მოქალაქეების თვითნებური დაკავებები; მნიშვნელოვანი ხარვეზები მართლმსაჯულებაში, მათ შორის სასამართლოზე ზეწოლა საქმეების შერჩევისას, საეჭვო სასამართლო დანიშვნები, ძალადობისა და შეურაცხყოფის შემთხვევებზე მთავრობის შეუსაბამო რეაგირება, დაუსრულებელი გამოძიებები, სასამართლო პროცესის დაწყებამდე შეუსაბამო დაპატიმრებები; ქალების, ეთნიკური, რელიგიური და სექსუალური უმცირესობების, ასევე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მიმართ დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლისთვის მთავრობის არასაკმარისი მცდელობები“, - წერია აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტში.

ე) სამართლიანი და საჯარო სამართალწარმოების უფლების ხელყოფა

მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუცია და კანონმდებლობა უზრუნველყოფს დამოუკიდებელ სასამართლოს და სასამართლო რეფორმის მიმართულებით მნიშვნელოვანი პროგრესი ფიქსირდება, ხელისუფლება სრულად არ სცემს პატივს სასამართლოს დამოუკიდებლობას. (ნაგულისხმევია რუსთავი 2-ის გარშემო განვითარებული მოვლენები. "სახელმწიფოს განცხადების მიუხედავად, რომ რუსთავი 2-ის საქმე იყო კერძო პირებს შორის იურიდიული დაპირისპირება, სასამართლოს ქვედა ინსტანციის ქმედებები განიხილებოდა, როგორც რუსთავი 2-ის სარედაქციო პოლიტიკის შეცვლის მცდელობა. ბევრისთვის, გადაწყვეტილება ბადებს კითხვებს მთავრობის დამოკიდებულებასა და ვალდებულებებზე მედიის თავისუფლების, პოლიტიკური პლურალიზმისა და სასამართლო დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით“). საერთაშორისო გამჭვირვალობის მიხედვით, ზოგიერთი მოსამართლე სავარაუდოდ ხელისუფლების მხრიდან ზეწოლას ექვემდებარებოდა და პოლიტიკური ზეგავლენა სასამართლოზე კვლავ წარმოადგენს პრობლემას, თუმცაღა სასამართლო პროცესების გამჭირვალობა გაუმჯობესებულია, აღნიშნული გამომდინარეობს სასამართლო სხდომების აუდიო-ვიდეო ჩანაწერებიდან და უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციებიდან.

წლის განმავლობაში ხელისუფლებამ გააგრძელა ყოფილი თანამდებობის პირების მიმართ თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში ჩადენილი ფართო სპექტრის სისხლის სამართლის დანაშაულებისთვის სისხლისამართლებრივი დევნა. 17 ყოფილი მაღალი თანამდებობის პირი იქნა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში მიცემული

(პრეზიდენტი, პრემიერ მინისტრი, მინისტრი, მინისტრის მოადგილე, მერი, გამგებელი ან პარლამენტის წევრი), მათგან ოთხი მიმალვაშია, სამი სასჯელს იხდის ციხეში, სამი გამართლდა, ორი გასამართლდა, მაგრამ პატიმრობაში არ იმყოფება, ორს მსჯავრი დაედო, მაგრამ მოგვიანებით შეწყალებული იქნა, ხოლო სამი გათავისუფლდა დეკემბერში საპროცესო შეთანხმების საფუძველზე.

ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) 2014 წლის ანგარიშში 14 სასამართლო პროცესის მონიტორინგმა აჩვენა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში სისტემური ხარვეზები, რომელიც ხელყოფს ადამიანის უფლებას სამართლიან სასამართლოზე. ეროვნული სასამართლოს დამკვირვებლებიც მსგავს პრობლემებს აღნიშნავდნენ მსგავსი ტიპის საქმეებზე. რამდენიმე ათეული ყოფილი საშუალო რგოლის ხელისუფლების წარმომადგენელი იქნა მსჯავრდებული თანამდებობაზე ყოფნის დროს ჩადენილი დანაშაულისათვის. საქართველოს ახალგაზრდა ადვოკატთა ასოციაციის მიხედვით, მოსამართლეები ყოფილი მთავრობის ადმინისტრაციის წარმომადგენლების საქმეებზე, როგორც წესი, მაღალ სტანდარტს იყენებდნენ პროკურორების იმ შუამდგომლობების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა სატელეფონო საუბრების ჩანაწერების წვდომის უფლების მოპოვებას, საცხოვრებელი სახლების ჩხრეკასა და სასამართლო პროცესამდე მოპასუხის დაკავებას.

ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარმა, ნილს მუჟნიეკსმა და არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციამ „დამოუკიდებელი და გამჭირვალე მართლმსაჯულება“ აღნიშნეს მნიშვნელოვანი გამოწვევები მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის კუთხით, მათ შორის: მოსამართლეთა მხრიდან გადაწყვეტილებათა დაუსაბუთებლობა; არასაკმარისი გამჭვირვალობა, შეფასება და მკაფიო კრიტერიუმის არარსებობა მოსამართლეთა შერჩევის, დანიშვნისა და დაწინაურების პროცესში; საქმეებში ჩარევა; მოსამართლეთა საპრობაციო პერიოდი სიცოცხლის მანძილზე დანიშვნასთან დაკავშირებით და დისციპლინური სამართალწარმოების პროცედურების გაუმჭვირვალობა.

არასამთავრობო ორგანიზაციები ასევე აღნიშნავდნენ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებზე თავდასხმებს და სახელმწიფოს სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან არასაკმარის/შეუსაბამო რეაგირებას, რომელიც შეშფოთებას იწვევს. არასამთავრობოების კოალიცია შეშფოთებას გამოხატავდნენ საერთო სასამართლოებში მოსამართლეთა შერჩევის ხარვეზიან პროცესზებზე - ბევრი მათგანის სიცოცხლის მანძილზე დანიშვნა - დატოვებს სასამართლო სისტემას პოლიტიკურად სენსიტიურ საქმეებზე პოლიტიკური ზეგავლენის მიმართ მოწყვლადად.

არასამთავრობო ორგანიზაციები აღნიშნავდნენ, რომ ისინი ესწრებოდნენ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომებს და სარგებლობდნენ სასამართლოს სხდომებზე

შეუზღუდავი წვდომით, მაგრამ ეჭვქვეშ აყენებდნენ მოსამართლეთა დანიშვნის წესი თუ რამდენად იყო ობიექტური და თავისუფალი პოლიტიკური გავლენისგან. მიუხედავად იმისა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები ითხოვდნენ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლეთა დანიშვნის გადავადებას, 25 დეკემბერს საბჭომ შეარჩია 38 მოსამართლე, მათ შორის მდივანი, რომელსაც უზენაეს სასამართლოში მოსამართლეობის 10 წლიანი ვადა 2016 წლის აპრილში ეწურება. არასამთავრობო ორგანიზაციები და ოპოზიციური პარტიები აკრიტიკებდნენ მდივნის დანიშვნას შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის გამო, აკრიტიკებდნენ მის გადაწყვეტილებას 2006 წელს სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმეზე, რომელიც შეიცავდა პოლიტიკური ზეგავლენის ნიშნებს. ისინი აღნიშნავდნენ, რომ მდივანი ესწრებოდა სხვა კანდიდატების გასაუბრებას, კოალიციის აზრით, ის სარგებლობდა უსამართლო პრივილეგიით გასაუბრების დროს.

სასამართლოს დამკვირვებლებმა დადებითად აღნიშნეს გამამართლებელი გადაწყვეტილებები ზოგიერთ საქმეებზე. მაგალითად, დაუსაბუთებელი აღკვეთი ღონისძიებების შესახებ შუამდგომლობების დაკმაყოფილების პროცენტულმა მაჩვენებელმა იკლო. საერთაშორისო გამჭვირვალობა აღნიშნავს, პრაქტიკა იმისა, რომ ზოგიერთი საქმეების იმ სასამართლოსთვის გადაცემა ხდება, რომელიც სასურველი გადაწყვეტილების მიმღები შეიძლება იყოს, კვლავ რჩება პრობლემად.

სექტემბერში პარლამენტმა მოიწონა კანონმდებლობა, რომელიც ითვალსიწინებს მთავარი პროკურორის შერჩევას პარლამენტის მიერ და ამ პოზიციაზე საპარლამენტო ზედამხედველობას.კანონის თანახმად, იუსტიციის მინისტრმა უნდა წარმოადგინოს სამი კანდიდატი, პროკურორთა საბჭომ, რომლის შემადგენლობაშიც შედიან პროკურორები, კანონმდებლები და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, წყვეტენ თუ რომელი კანდიდატი უნდა იქნას წარდგენილი პარლამენტში. მიუხედავად იმისა, რომ ახალი პროცესი მიზნად ისახავს აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან პოლიტიკურ მანიპულაციის პრევენციას, ვენეციის კომისიამ შენიშნა, რომ მმართველი ძალის მხრიდან განხორციელდა პოლიტიკური გავლენა მთავარი პროკურორის შერჩევის, დანიშვნის და ზედამხედველობის პროცესებზე.

მთავარი პროკურორის ოფისი და იუსტიციის სამინისტრო პასუხისმგებელნი არიან პროკურორთა მიერ ეთიკის კოდექსის დარღვევის გამო დისციპლინური პროცესების დაწყებაზე. წლის მანძილზე ხელისუფლებამ დისციპლინურ პასუხისმგებლობაშ მისცა 16 პროკურორი მთავარი პროკურატურის ოფისიდან.

სასამართლო პროცესის პროცედურები

მოპასუხე მხარეებს უფლება აქვთ მიეწოდოთ ინფორმაცია დროულად, სათანადოდ და დეტალურად მათ წინააღმდეგ წაყენებული ბრალდების თაობაზე, მათთვის

გასაგებ ენაზე. მოპასუხეებს უფლება აქვთ დაესწრონ პროცესს და უფლება აქვთ, რომ პროცესი იყოს საჯარო, გარდა იმ შემთხვევისა თუ სახელმწიფო უსაფრთხოება, პირადი უფლებების დაცვა ან არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის მიზნით ხდება დახურული სხდომის ჩატარება. კანონი უშვებს შესაძლებლობას, რომ პროცესი ჩატარდეს მოპასუხე მხარის გარეშე, თუ მან დატოვა ქვეყანა. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი არ ითვალისწინებს სათანადო დაცვას უდანაშაულობის პრეზუმფციის მხარდასაჭერად.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გამართვა შესაძლებელი იყო თბილისში, ქუთაისში და ბათუმში და არა სხვაგან, ყველა იმ სისხლისსამართლებრივ დანაშაულთან დაკავშირებით, რომელიც ეხება მკვლელობას დამამძიმებელ გარემოებებში ან საჯარო პირების მიერ ჩადენილ დანაშაულს მისი თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში. ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პროცესი იყო საჯარო. მოპასუხეებს ჰქონდათ შესაძლებლობა უარი ეთქვათ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გამართვაზე.

საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს მიხედვით, სასამართლო მონიტორინგის დროს აკვირდებოდნენ დაცვის მხარის ადვოკატის საჩივარს საქმეთა განაწილების პროცესში. არასამთავრობოები აკრიტიკებდნენ საქმეთა განაწილების პროცესს ნაკლები გამჭვირვალობის და განჭვრეტადობის კუთხით, ასევე მიიჩნევდნენ მანიპულაციის საშუალებად.

არასამთავრობოები და სასამართლო მონიტორინგის განმახორციელებლები აცხადებენ, რომ ხშირია პროცესების გადადება. სისხლის სამართლის საქმეები გადაიდებოდა კანონით გათვალისწინებული 9 თვიანი წინასასამართლო პატიმრობის ვადის გადაჭარბებით, ხშირ შემთხვევებში იმ მიზეზით, რომ მიეცათ შესაძლებლობა მხარეებისთვის გაემართათ მოლაპარაკება საპროცესო შეთანხმებაზე ან იმ მიზეზით, რომ მოწმე არ ცხადდებოდა ჩვენების მისაცემად. კანონი კონრკეტულად არ აწესებს საქმის გამოძიებასა ან სასამართლო პროცესებთან მიმართებით მაქსიმუმ ვადას, დაწესებულია „გონივრუდი დრო“. საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს მიხედვით, სასამართლოები ყოველთვის არ იცავენ ამ სტანდარტს, თბილისის ყოფილი მერის სისხლის სამართლის საქმე იხილებოდა 2 წელზე მეტი ხნის განმავლობაში, მას შემდეგ რაც 2013 წელს მას ბრალი წაუყენეს. საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო აღნიშნავს, რომ ეს პრობლემა ასახული იყო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 8 ივლისის ცვლილებებში, რომლის მიხედვით სასამართლომ 24 თვის განმავლობაში უნდა გამოიტანოს გადაწყვეტილება მას შემდეგ რაც დასრულდება წინასასამართლო სხდომა.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ აღნიშნა, რომ იყო შემთხვევები, როცა მოპასუხეებმა ვერ გაიგეს მოსამართლის განმარტება მათი უფლებების თაობაზე, განსაკუთრებით ისეთ საქმეებში, როცა მოპასუხე მხარე საკუთარ უფლებებს თავად იცავდა. სასამართლოები ვალდებულებნი არიან, საზოგადოებას

ნება დართონ სასამართლო სხდომის ფოტო, აუდიო ან ვიდეო ჩაწერაზე, ან მიაწოდონ ასეთი ჩანაწერი მათ, მოთხოვნის საფუძველზე.

მოპასუხეებს უფლება აქვთ შეხვდნენ ადვოკატს მათი სურვილის მიხედვით, ყოველგვარი ჩარევის, ზედამხელველობის ან არაჯეროვანი შეზღუდვის გარეშე. მოპასუხეებს უფლება აქვთ ჰყავდეთ ადვოკატი საელმწიფოს ხარჯზე თუ არიან გადახდისუუნარო და ჰქონდეთ დრო სათანადოდ მოემზადონ დაცვისთვის.

გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს ანგარიშში და სახალხო დამცველის ანგარიშში აღნიშნულია არასათანადო უფლებების დაცვის შემთხვევებზე ადმინისტრაციული პატიმრობის დროს. პრობლემას წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართალწარმოების დროს არასათანადო დრო დაცვის მხარისთვის მოსამზადებლად (ზოგჯერ 10 წუთზე ნაკლები), დაცვის მხარის მტკიცებულების დაუშვებლობა ან მოწმის დაკითხვაზე უარი და პოლიციის განცხადებების სრული გაზიარება.

მოპასუხეებს აქვთ უფლება, რომ ჰქონდეთ წვდომა სისხლის სამართლის საქმის მასალებთან და ჰქონდეთ ასლის გადაღების საშუალება. პროკურატურამ უნდა გაუცვალოს დაცვის მხარეს ყველა მტკიცებულება წინასასამართლო სხდომამდე 5 დღით ადრე. სასამართლო მონიტორინგის დროს გამოვლინდა შემთხვევები, როცა პროკურატურამ არ მიაწოდა დროულად ბრალის გამამომრიცხველი გარემობების შემცველი ინფორმაცია პროცესის მონაწილეს.

მოპასუხეებს უფლება აქვთ, რომ დაუპირისპირდნენ პროკურატურას ან საჩივრის ავტორის მოწმეს, წარადგინონ თავიანთი მოწმეები და მტკიცებულება. საერთაშორისო გამჭვირვალობა აღნიშნა, მოწმეთა განცალკევების პრობლემაზე, ზოგჯერ მათ ჰქონდათ საშუალება, პროცესის გარეთ გასაუბრებოდნენ და კომუნიკაცია დაემყარებინათ ერთმანეთთან. პროცესის მონიტორინგის განმახორციელებელი პირების განცხადებით რიგ შემთხვევებში მოსამართლემ მიმართა სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლების ამოქმედებას, თუმცა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიხედვით მოსამართლეები ზოგიერთ შემთხვევაში გულგრილობას იჩენდნენ და არ ახდენდნენ დროულ რეაგირებას მოპასუხის საჩივარზე, რომელიც ეხებოდა სამართალდამცველებისა და პროკურორების მხრიდან უფლებების დარღვევას, რაც აისახებოდა ადვოკატის დახმარების უფლების ხელყოფაში, ასევე სასამართლო სხდომაზე დაცვის მოწმის წარდგენის ან პოლიციის ან პროკურატურის მოწმეების ჯვარედინი დაკითხვის უფლების ხელყოფაში.

მოპასუხეებს შეუძლიათ დაკითხონ მოწმეები ან დაუპირისპირდნენ მეორე მხარის მოწმეებს, წარმოადგინონ მოწმეები, მტკიცებულებები პროცესზე. მოპასუხეებს

უფლება აქვთ პროცესზე არ მისცენ ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ ან არ ამხილონ თავიანთი თავი დანაშაულში.

მიუხედავად იმისა, რომ მოპასუხეს უფლება აქვს გაასაჩივროს აპელაციის წესით პატიმრობის შეფარდება, ეფექტური საჩივარი ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით რთულად მიღწევადია.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით მოპასუხეს აქვს ერთი თვის ვადა, რომ წარადგინოს საჩივარი სასამართლოს მიერ დაცვის მხარისათვის სხდომის ოქმის დაგვიანებით გადაცემიდან გამომდინარე. ადმინისტრაციული პატიმრობის დროს გასაჩივრების ვადა არის 48 საათი, სხვა შემთხვევაში 10 დღე. ადმინისტრაციულ საქმეებზე სასამართლომ წარადგინა ოქმები 3 დღის დაგვიანებით, თუმცა მოპასუხე მხარი იძულებული იყო, რომ საჩივარი მოემზადებინა სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე.

ადამიანის უფლებათა მონიტორინგის განმახორციელებლები ხშირად მიუთითებენ ადმინისტრაციული პროცესების ფორმალურ ხასიათზე, სასამართლოები ხშირად უარს ამბობენ აპელაციის დაკმაყოფილებაზე ადეკვატური განმარტების გარეშე. საქართველოს ახალგაზრდა ადვოკატთა ასოციაციის მიხედვით, ფაქტორები, რაც აპელაციის უმნიშვნელო გადახედვას უწყობს ხელს არის მოსამართლეების შიდა დამოუკიდებლობის ნაკლებობა, როგორიცაა ქვედა ინსტანციის მოსამართლეები ხშირად ეძებენ მიმართულებებს ზემდგომი მოსამართლეებისგან მათ საქმეებზე, ნაკლებია დროული წვდომა ქვედა ინსტანციების სასამართლოებში ზეპირი სხდომის ჩანაწერის და ადგილი აქვს არასათანადო დასაბუთებას სასამართლო გადაწყვეტილების.

კანონის მიხედვით საპროცესო შეთანხმება უნდა მოხდეს ყოევლგვარი ძალადობის, მოტყუების, დაშინების ან არაკანონიერი დაპირების გარეშე, იმ პირობებში, რომ ბრალდებულს ჰქონდა შესაძლებლობა ესარგებლა იურიდიული დახმარებით. კანონის მიხედვით გათვალისწინებულია ჯეროვანი დაცვა საპროცესო შეთანხების დროს, რაც მოიცავს უარი განაცხადო გასაჩივრების უფლების უარყოფაზე ან გქონდეს შესაძლებლობა მოლაპარაკებები აწარმოო. მტკიცებულებების სტანდარტი საპროცესო შემთანხმების დროს ითვალისწინებს, რომ მტკიცებულება უნდა იყოს საკმარისი, რომ პირი დამნაშავედ ცნო, უნდა იყოს ობიექტური გარემოება, რომ პირი იქნეს დამნაშავედ ცნობილი.

არასამთავრობო ორგანიზაციები კვლავ გამოხატავენ შეშფოთებას, რომ არასრულწლოვნების საქმეების განმხილველი მოსამართლეები უნდა იყვნენ სათანადოდ მომზადებულები სპეციალური ტრენინგ პროგრამებით, რომ უზრუნველყონ არასრულწლოვანის ასაკის, სპეციალური საჭიროებების და საკითხის მგრძნობელობის მიხედვით მოპყრობა.

პოლიტიკური პატიმრები

ოპოზიციური პარტია ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და პატიმრების ოჯახის წევრები აცხადებენ, რომ მთავრობას ჰყავს პოლიტიკური პატიმრები, მათ შორის ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი და თბილისის მერი, ისევე როგორც ნაციონალური მოძრაობის აქტივისტები, როცა დააკავეს პარლამენტის წევრების მიმართ თავდასხმისთვის ქუთაისში. მთავრობამ უფლება მისცა საერთაშორისო ორგანიზაციებს და ადგილობრივ ორგანიზაციებს შეხვდნენ პატიმრებს, ვინც აცხადებდა, რომ იყო პოლიტილური პატიმარი ამ წლის განმავლობაში.

სამოქალაქო წარმოების პროცედურები და ნაკლოვანებები

კონსტიტუცია უზრუნველყოფს დამოუკიდებელი და სამართლიანი სასამართლოს უფლებას სამოქალაქო წარმოების საქმეებზე, თუმცა არსებობს ეჭვები მოსამართლეთა პროფესიონალიზმისა და გადაწყვეტილებათა გამჭვირვალობის თაობაზე. კონსტიტუციამ და კანონმა განსაზღვრა, რომ პირი რომელიც განიცდის უკანონო პატიმრობას ან სხვა არაკანონიერ ქმედებას, მათ შორის ადამიანის უფლებათა დარღვევას, უფლება აქვს შეიტანოს სამოქალაქო სარჩელი. პირებს, უფლება აქვთ, რომ გაასაჩივრონ სასამართლოს გადაწყვეტილება მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, მას შემდეგ რაც ამოწურავენ სახელმწიფოში შიდასამართლებრივი დაცვის ყველა საშუალებას.